ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

სამახსოვრო ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრისთვის

განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ტარდება

წინამდებარე რესურსი მომზადებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.

სამახსოვრო ინსტრუქცია წარმოადგენს დამხმარე რესურსს კომისიის წევრის მიერ ფუნქციის შესაბამისად ამომრჩევლისთვის კვალიფიციური სერვისის განსახორციელებლად.

არეგულირეთ კენჭისყრის შენობაში შემომსვლელ ამომრჩეველთა ნაკადი.

I. კენჭისყრის შენობაში დაშვების მიზნით, სთხოვეთ ამომრჩეველს, წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობს თუ წარადგენს პირადობის დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტს:

- ✔ საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონულ მოწმობას;
- ✔ საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონულ მოწმობას (რომელსაც არ აქვს ინფორმაციის ელექტრონული მატარებელი);
- ✔ საქართველოს მოქალაქის პასპორტს.

II. მარკირების შესამოწმებელი ხელსაწყოს (ულტრაიისფერი ფარანი) გამოყენებით შეამოწმეთ ხომ არ აღენიშნება ამომრჩეველს ხელზე მარკირება.

ყურადღება!

ამომრჩეველი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები („ფიზიკური მდგომარეობა“), არ გადის მარკირების შემოწმების პროცედურას.

რა უნდა გაითვალისწინოს ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა ფუნქციის შესრულებისას:

- ✔ თუ მარკირების შესამოწმებელმა ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. განუმარტეთ ამომრჩეველს კენჭისყრის ოთახში დაშვებაზე უარის თქმის მიზეზი. ამომრჩევლის შესახებ ინფორმაცია აცნობეთ კომისიის მდივანს ჩანაწერთა წიგნში შეტანის მიზნით.
- ✔ თუ ამომრჩეველი აკმაყოფილებს კენჭისყრაში მონაწილეობისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ამომრჩეველს მიუთითეთ მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო და ამომრჩევლის ნომერი ამომრჩეველთა სიაში. თუ შესაბამის სარეგისტრაციო მაგიდასთან ორი ამომრჩეველი დგას, დროებით შეაყოვნეთ კენჭისყრის შენობაში ამომრჩევლის შესვლა.
- ✔ თუ კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების მხრიდან ვლინდება შემთხვევები, როგორიცაა: კომისიის წევრის საქმიანობაში ჩარევა; კენჭისყრის ოთახში ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკური შეფერხება; ამომრჩევლისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამორთმევა-/ჩვენების მოთხოვნა/ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება - <u>მოახდინეთ მყისიერი რეაგირება, მიუთითეთ დამრღვევს აღკვეთოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება და ფაქტთან დაკავშირებით აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს.</u>